განცხადება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი **ტექინფორმი** აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

ა) ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილება

- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 0,5 საშტატო ერთეული
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 0,5 საშტატო ერთეულ

➢ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დარგის სპეციალისტებს, რომელთაც გააჩნიათ დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (ან მეცნიერებათა კანდიდატის) ხარისხი. ასევე კონკურსანტს უნდა გააჩნდეს აღნიშნულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
- დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
- შესაბამისი დარგის 1 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიოს განმცხადებელს (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი);

საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექინფორმში, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 2014 წლის 12 მარტიდან 11 აპრილის 17.00 საათამდე.

მისამართი: 0179, თბილისი, კოსტავას ქ. 47, მე-6 სართული, ოთახი 18.

კონკურსში მონაწილეობისათვის სასურველია საბუთები წარმოდგენილი იყოს აგრეთვე ელექტრონული ფორმით.
საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული დისკით, ან გაიგზავნოს მისამართზე: tech@caucasus.net.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:
ტელ: 2 335122, 2 335315.
პასუხისმგებელი პირი - მეგი თათარაშვილი